დედამიწის დღე- აქტივობები წაკითხულის გასააზრებლად

მოამზადა რუსუდან თედორაძემ

შესავალი

მსოფლიოში ყოველწლიურად 22 აპრილს, დედამიწის დღე აღინიშნება!

1970 წელს, დედამიწის დღის დაფუძნებით საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების მორიგ იდეას. სუფთა და ჯანსაღი გარემოსთვის ბრძოლა ყოველდღიურად უფრო აქტუალური ხდება, რადგან კლიმატის ცვლილებები ყოველდღიურად უფრო და უფრო აშკარა ხდება. ცნობიერების ზრდასთან ერთად იზრდება სამოქალაქო საზოგადოების მობილიზაციაც, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოში კლიმატის ცვლილებას ერთიანად აპროტესტებს. 22 აპრილი ამ თვალსაზრისით გამორჩეული თარიღია.ეს დღე 1990 წლიდან საქართველოშიც აღინიშნება, რომლის ფარგლებშიც მთელი ქვეყნის მასშტაბით დასუფთავებისა და გამწვანების აქციები ტარდება.

შემოთავაზებული აქტივობა დაეხმარება მასწავლებელს, გააძლიეროს მოსწავლეების ინტერესი დედამიწის დღის მნიშვნელობის გასააზრებლად. რესურსი შეიცავს არამხატვრულ პასაჟს, რომლითაც მოსწავლეებს მიეწოდება ინფორმაცია, ხოლო შემდეგი აქტივობები ხელს უწყობს წაკითხულის გააზრების შეფასებას და მათ უადვილებს საბუნებისმეტყველო ტერმინების აღქმას/გაგებას.

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ტექსტს და შემდგომ ხდება მისი დამუშავება. მასწავლებელს მოსწავლეთა ასაკიდან გამომდინარე , შეუძლია საკუთარი შეხედულებით მოდიფიცირება გაუკეთოს აქტივობებს.

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ინფორმაცია

რა არის ეს?

წარმოიდგინეთ, რომ გაიღვიძეთ თქვენს სახლში და ის მოულოდნელად ივსება ნაგვით. რომელ ოთახშიც არ უნდა შეხვიდეთ, პლასტმასის ბოთლები ტრიალებენ, ყველგან მოფენილია პოლიეთილენის პარკები, დაღვრილია სხვადასხვა ქიმიური სითხე, ბოთლის ხუფები... და კიდევ მანქანის საბურავები! როგორც ხვდებით, ეს ძალიან სახიფათო გარემოა ადამიანებისთვის. სამწუხაროდ, სწორედ ასე გამოიყურება არა მარტო დედამიწა, არამედ წყალში მცხოვრები ორგანიზმების საცხოვრებელი გარემო –ზღვები და ოკეანეებიც , რაც დასტურდება კოსმოსური სატელიტიდან მიღებული სურათებით. მაგალითად, წყნარ ოკეანეში მცურავი ნაგვის გროვის

სიდიდე, გარკვეულ ადგილებში, რამდენიმე ასეულ კილომეტრს შეადგენს, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს არ ასახავს ნაგვის მოცულობის რეალურ ზომას, რადგან წყალქვეშა დაბინძურებას სატელიტი ვერ აფიქსირებს.

საიდან გაჩნდა ნაგავი ზღვებში/ოკეანეებში?

ადამიანის საქმიანობის შედეგად უამრავი ნაგავია დაგროვილი ზღვების/ოკეანეების სანაპიროზე, შემდეგ კი ის წყალში ჩადის. ოკეანის ცხოველები შესაძლოა, დაახრჩოს მცურავმა ნაგავმა ან მოწამლოს გაფუჭებულმა საკვებმა. მაგალითად, როდესაც პლასტმასა უფრო და უფრო პატარა ნაწილებად იშლება, ის ერთვება კვებით ჯაჭვში და მას შთანთქავს ყველა - ვეშაპი, კუ, თევზები, მედუზები და პაწაწინა პლანქტონებიც კი.

რამდენად საზიანოა?

დაბინძურებულმა გარემომ შესაძლოა, ხელი შეუწყოს დაავადებების გავრცელებას. ნარჩენებში არსებულმა მომწამვლელმა ქიმიკატებმა და დაავადების გამომწვევმა მიკროორგანიზმებმა შეიძლება გამოიწვიონ წყლის სისტემის დაბინძურება და საფრთხე შეუქმნან იმ ადამიანებისა და ცხოველების ჯანმრთელობას, რომლებიც მოიხმარენ დაბინძურებულ წყალს ან საკვებს.

დიდ საფრთხეს წარმოადგენს პლასტმასის ნაწარმი და პოლიეთილენის პარკები, ხშირად, ზღვისა თუ ხმელეთის ცხოველებს ისინი საკვებში ეშლებათ: რადგან პლასტმასის მონელება შეუძლებელია, შედეგად მცირდება კუჭის მოცულობა, რაც გრძელვადიან პერიოდში მოქმედებს კვების პროცესზე და ცხოველი შესაძლოა, დაღუპვამდეც მიიყვანოს. უამრავი დაღუპული წყლის ცხოველი – ჩიტების, ზვიგენების, დელფინებისა და კუების ჩათვლით – იქნა ნაპოვნი, რომლებსაც კუჭში სიგარეტისა და პლასტმასის ნარჩენები აღმოაჩნდათ. ყოველწლიურად დაახლოებით ზღვის 100,000 ძუძუმწოვარი ეწირება ზღვაში პლასტმასის ნარჩენებს. ზოგიერთი ნარჩენი აგრეთვე შეიცავს მომწამვლელ ნივთიერებასა და ბასრ დეტალებს, რომლებსაც ასევე შეუძლიათ ცხოველის სასიცოცხლო ორგანოების დაზიანება.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ

მნიშვნელოვანია, გავიაზროთ, რომ დედამიწა ჩვენი სახლია და როგორც საცხოვრებელ სახლში ვიცავთ სისუფთავეს, ასევე სჭირდება დედამიწას ჩვენი ზრუნვა, რადგან დაბინძურებული გარემო არ გვაპატიებს დაუდევრობას და მკვეთრად აისახება ჩვენს ჯანმრთელობაზე.

აქტივობა 1

ტექსტის გაცნობის შემდგომ მოსწავლეებს ვთავაზობთ სამუშაო ბარათებს და ვაძლევთ დავალებებს.

დავალება 1.

წაკითხული ტექსტის გამოყენებით განმარტეთ ქვემოთ მოცემული ტერმინები (სურვილის შემთხვევაში, შეგიძლია დახატო)

ნაგავი
განმარტება
დახატე

პლანქტონი
განმარტება
დახატე

სატელიტი
განმარტება
დახატე

წყლის დინება
განმარტება
დახატე

ტოქსიკური
განმარტება
დახატე

კვებითი ჯაჭვი
განმარტება
დახატე

დავალება 2

დაწერეთ წინადადებები აღნიშნული ტერმინების გამოყენებით (შესაძლებელია მცირე ტექსტის შექმნაც).

აქტივობა 2

წაკითხული მასალის გასააზრებლად მოსწავლეებს ვთავაზობთ, უპასუხონ კითხვებს:

1.რა მნიშვნელობითაა ტექსტში გამოყენებული სიტყვა– მოფენილი? (სიტყვა "მოფენილი" ნიშნავს საყოფაცხოვრებო ნარჩენებს დაყრილს ან გაშლილს დიდ ფართობზე).

2.რატომ არ არის ცნობილი წყნარი ოკეანის დანაგვიანების რეალური ზომა ?

(მეცნიერები ყველაფერს ვერ ხედავენ, რადგან პლასტმასის ნაწილაკების უმეტესობა წყლის ზედაპირზე არ ჩანს, რაც მათ უხილავს ხდის სატელიტისთვის)

3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება არის მართებული ნაგვის ზომასთან დაკავშირებით?

ა. მეცნიერები თვლიან, რომ ის წარმოქმნა ოკეანის დინებამ.

ბ. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ნაგავი მალე გაქრება.

გ. წყნარ ოკეანეში დანაგვიანება რამდენიმე ასეული კილომეტრია.

დ. ნაგავსაყრელში არსებული ნარჩენები საშიშია ველური ბუნებისთვის.

4. როგორ შეიძლება წყნარი ოკეანის დაბინძურებამ გავლენა მოახდინოს ადამიანებზე? (ადამიანი შეიძლება დაზარალდეს ნაგვის ტოქსინებით, თევზით ან ზღვის პროდუქტებით , რომელთა ორგანიზმში შეიძლება იყოს პლასტმასის ნარჩენები)

5. მართალია თუ მცდარი: ზღვის კუებს საფრთხე ემუქრებათ ოკეანეში არსებული ნარჩენების გამო.

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ამ სტატიის დაწერის მიზანი?

ა. ავტორის მიზანია, მოჰყვეს სახალისო ამბავი, რომელიც გაამხიარულებს მკითხველს.

ბ. ავტორის მიზანია, დაარწმუნოს მკითხველი, მოინახულოს ნაგავსაყრელი.

გ. ავტორის მიზანია, მკითხველს დაანახოს ზღვების და ოკეანეების დაბინძურების საფრთხე.

7. ჩამოთვალეთ ოთხი გზა, რომლითაც ადამიანებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ დაბინძურების შემცირებას.

(1. გამოიყენეთ ერთჯერადი ბოთლების ნაცვლად მრავალჯერადი გამოყენების წყლის ბოთლები.

2. გამოიყენეთ მრავალჯერადი გამოყენების ჩანთები პოლიეთილენის პარკების ნაცვლად.

3.არ დაყაროთ ნაგავი მდინარის და ზღვის სანაპიროს გასწვრივ.

4 . ნაგავი დაყარე მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ადგილზე)

აქტივობა 3.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს პასუხებს და იმართება მსჯელობა.

გამოყენებული წყარო:

[წყნარი ოკეანე - მსოფლიოს სანაგვე - mastsavlebeli.ge]

[დაბინძურებული ოკეანე (nationalgeographic.ge)]